ოქმი:**ო08. 3723076001**

თარიღი:**17/03/2023**

ოქმი № 5
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 16 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის(შეთანხმების)შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

2 .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.
მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: დ. გორდელაძე

მომხსენებელმა, დ.ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული განკარგულების პროექტი, ისაუბრა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების მნიშვნელობაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების , ხოლო N 2 საკითხი განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი